

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯავახავტოგზის დამფუძნებელს

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ჯავახავტოგზისა და მისი შვილობილი ორგანიზაციების (შემდგომში ჯავახავტოგზის ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯავახავტოგზის ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2020 წლის 18 ივნისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2019 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯავახავტოგზის ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯავახავტოგზის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯავახავტოგზის ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯავახავტოგზის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯავახავტოგზის ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯავახავტოგზის ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ჯავახავტოგზ ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა

და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებები

ჯავახავტოგზის ჯგუფის წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ჩატარებული არ არის.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,
ოთარ ახოზაძე
გარიგების პარტნიორი
ხელმოწერა



თარიღი 28.09.2020 წ.

სს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“

შპს ჯავახიშვილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	17
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	17
7. ძირითადი საშუალებები.	18
8. არამატერიალური აქტივები	18
9. მოკლევადიანი სესხები	19
10. სავაჭრო ვალდებულებები.	19
11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება.	19
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20
13. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	20
14. . რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	20
15 . სხვა შემოსავალი	20
16 . კომერციული დანახარჯები	21
17. ადმინისტრაციული ხარჯები	21
18. ფინანსური დანახარჯი	22
19. ფინანსური შემოსავალი	22
20. დადებითი საკურსო სხვაობა	22
21. უარყოფითი საკურსო სხვაობა	22
22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	23
23. პირობითი ვალდებულებები	23
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	938,844	2,228,479
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	10,431,155	6,827,272
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,806,358	2,180,287
სულ მიმდინარე აქტივები		13,176,357	11,236,038
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	11,109,575	9,253,696
არამატერიალური აქტივები	8	755,411	747,842
გუდვილი		490,664	490,664
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,355,650	10,492,202
სულ აქტივები		25,532,007	21,728,240
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	9	2,526,464	1,732,516
სავაჭრო ვალდებულებები	10	1,984,223	1,295,754
გადასახდელი პროცენტი		43,948	11,542
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	11	192,091	35,076
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	251,149	765,904
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,997,875	3,840,791
გრძელვადიანი ვალდებულებები			
		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,205,581	-
სულ ვალდებულებები		6,203,456	3,840,791
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		-	-
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		19,326,551	17,885,449
სულ საკუთარი კაპიტალი		19,328,551	17,887,449
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		25,532,007	21,728,240

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი -----

ნოდარ ინასარიძე

მენეჯერი -----

ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავეტოგმა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	13	28,475,731	23,886,862
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(26,596,993)	(16,504,253)
საერთო მოგება		1,878,738	7,382,609
სხვა შემოსავალი	15	1,101,351	812,349
კომერციული დანახარჯები	16	(9,814)	(37,108)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,354,605)	(1,392,173)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკურსო სხვაობა	20	25,794	19,396
ფინანსური შემოსავალი	19	612,511	249,648
უარყოფითი საკურსო სხვაობა	21	(69,184)	(1,806)
ფინანსური დანახარჯები	18	(282,929)	(208,676)
მოგება დაბეგვრამდე		1,901,862	6,824,238
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,901,862	6,824,238
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,901,862	6,824,238

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნოდარ ინასარიძე

მენეჯერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	37,936,945	27,490,863
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(25,661,466)	(12,587,865)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(4,379,874)	(3,257,543)
გადახდილი გადასახადი	(2,653,404)	(3,083,736)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(17,614)	(13,579)
გადახდილი პროცენტები	(218,672)	(102,829)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	5,005,916	8,445,312
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,417,373)	(3,648,789)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,417,373)	(3,648,789)
	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	(2,457,460)	(2,864,661)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(432,675)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(2,890,135)	(2,864,661)
	-	-
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ იკავიალინებზე	11,958	6,669
	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(1,289,635)	1,938,531
	-	-
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	2,228,478	289,947
	-	-
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	938,844	2,228,478

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნოდარ ინასარიძე

მენეჯერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,000	11,061,211	-	11,063,211
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,824,238	-	6,824,238
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 1 იანვარი 2019	2,000	17,885,449	-	17,887,449
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,901,862	-	1,901,862
დივიდენდის განაწილება		(460,760)		(460,760)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	2,000	19,326,551	-	19,328,551

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- ნოდარ ინასარიძე

მენეჯერი ----- ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ჯავახავტოგზა“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1998 წლის 22 დეკემბერს ახალქალაქის სასამართლოს მიერ რეგისტრაციის ნომერი 21/4-42 საიდენტიფიკაციო ნომერი 223352930. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ახალქალაქი, შაუმიანის ქ.1. კომპანია ახორციელებს საავტომობილო გზების მოვლა შენახვას და რეაბილიტაციას.

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის ფიზიკური პირი ნოდარ ინასარიძე პ/ნ 47001002344.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი არის ნოდარ ინასარიძე პ/ნ 47001002344.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს სამხედრო გზა“ ს/კ 229284191 რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა/შენახვა.

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე კომპანიები:

შპს „ავტოგზა -2000“ ს/კ 224070895 წილობრივი მონაწილეობა 33%;

შპს „ჯავახგზამშენი“ ს/კ 223364927 წილობრივის მონაწილეობა 50%;

მეკავშირე საწარმოებს ბოლო 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ

მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა შედგება:

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს პერიოდულად და შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას ყოველთვიურად დამკვეთისთვის წარდგენილი ფორმა-2-ის მიხედვით.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის განსაზღვრული ტენდერის მიხედვით და შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების საფასური განისაზღვრება კონკრეტული მიწოდების დროს წერილობითი ან ზეპირსიტყვიერი კონტრაქტის მიხედვით.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ბარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2019 წლის 31 დეკემბრის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაწევა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აწეებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ

კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავალი

გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის და პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები განევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის

შპს ჯავახაშვიტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი განწევის პერიოდში.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8
ავტომანქანები	5-8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სამშენებლო მანქანა-დანადგარები	5-8
მცირეფასიანი ინვენტარი	5
ავეჯი	5
მსუბუქი ავტომობილები	5
შენობა-ნაგებობები	25

ძირითადი საშუალებების ცვთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის

ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ბარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ბარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ბარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ბარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ბარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს საწვავს და მიმდინარე სამუშაოებისათვის აუცილებელ სახარჯ მასალებს. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება, როგორც კაპიტალის ცალკე კომპონენტი - არაფულადი შენატანის საბაზრო ფასზე კორექტირების რეზერვი.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფის წილი შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლში იგულისხმება შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის შესაძლებლობას მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

მეკავშირე არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოს

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ინვესტიციის მიმღები კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ არ წარმოადგენს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

შპს ჯავახაშვიტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

4. ფუ ლადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	467	403
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	898,927	2,103,238
აშშ დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	889	599
ევროები დოლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	-	85,130
ინგლისური ფუნტები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	62	611
სხვა ფულადი გზავნილები	38,498	38,498
სულ	938,844	2,228,479

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,476,034	2,295,540
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	299,491	147,039
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	48,685	72,151
წინასწარ გადახდილი გადასახადი	145,668	209,484
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	7,237,376	4,103,058
სულ	10,207,254	6,827,272

2019 წლის ბოლოსათვის, წინდახედულობის პრინციპით დებიტორულ დავალიანებებზე რომლებიც გადაუხდელია შეიქმნა 100%-იანი ანარიცხი. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2019	2018
სამშენებლო ნედლეული	1,806,358	2,180,287
სულ	1,806,358	2,180,287

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწა	შენიშნა ნაგებობები	ავტო ავტო	მანქანა- დანადგარები	ელექტროგადამცემი საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ბირ.საშ.	სატრანსპორტო საშუალებები	მცირეფასიანი ბირ.საშ.	სულ
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2,169,750	325,647	6,403	10,537,272	51,602	23,553	123,142	1,904,779	32,241	15,174,389
შემოსვლა	66,840	-	-	3,404,326	-	1,149	186	7,989	3,723	3,484,213
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,236,590	325,647	6,403	13,941,598	51,602	24,702	123,328			18,658,602
დაგროვილი ცვეთა										
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(113,893)	(3,557)	(4,256,746)	(8,371)	(8,192)	(65,329)	(1,451,013)	(13,592)	(5,920,693)
ცვეთის ხარჯი	-	(12,628)	(1,049)	(1,460,738)	(5,160)	(4,658)	(14,353)	(121,187)	(8,562)	(1,628,335)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	(126,521)	(4,606)	(5,717,484)	(13,531)	(12,850)	(79,682)	(1,572,200)	(22,154)	(7,549,028)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2,169,750	211,754	2,846	6,280,526	43,231	15,361	57,813	453,766	18,649	9,253,696
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,236,590	199,126	1,797	8,224,114	38,071	11,852	43,646	(1,572,200)	(22,154)	11,109,575

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. არამატერიალური რესურსები

არამატერიალური რესურსები წარმოდგენილია:

	2019	2018
ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზია	754,391	746,408
პროგრამული უზრუნველყოფა	1,020	1,434
სულ	755,411	747,842

შპს ჯავახავტოგზა**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. მოკლევადიანი სესხები

2019 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	მოკლევადიანი
					31.12.2019	31.12.2018
ფიზიკური პირები	0%	ლარი	01.05.2017	31.12.2020	17,195	17,195
სს საქართველოს ბანკი	15%	ლარი	13.02.2015	16.08.2017		
სს თიბისი ბანკი		დოლარი			115,973	
სს თიბისი ბანკი		ევრო			270,312	
სს თიბისი ბანკი	14%	ლარი	21.11.2016	27.09.2017	2,122,983	
სს თიბისი ბანკი	14%	ლარი	26.10.2017	28.03.2018		
სს თიბისი ბანკი	14%	ლარი	20.08.2018	27.02.2019		1,715,320
სულ					2,526,464	1,732,515

10. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.ვალდებულება	1,760,322	1,295,754
სულ	1,760,322	1,295,754

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ	192,091	35,076
სულ	192,091	35,076

შპს ჯავახაშვიტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები შედგება:

	2019	2018
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე	186,681	729,570
გადახდელი ხელფასები თანამშრომლებზე	64,468	36,334
სულ	251,149	765,904

13. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2019
გზებისა და ავტობანების მშენებლობა	31,310,011
ნედლეულის რეალიზაცია	325,910
სულ	31,635,921

14. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის 2019 წლის რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება შედგება:

	2019
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	9,282,292
პირდაპირი ხელფასი	4,475,501
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,692,368
სხვა საწარმოო ხარჯი	14,307,022
სულ	29,757,183

15. სხვა შემოსავალი

კომპანიის 2019 წლის სხვა შემოსავალი შედგება:

	2019
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,101,351
სულ	1,101,351

შპს ჯავახაშვიტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

16. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2019 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2019
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	3,203
მიწოდების სხვა ხარჯები	6,610
სულ	9,814

17. ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის 2019 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2019
შრომის ანაზღაურება	550,613
საიტარო ქირა	41,218
ელექტროენერგიის ხარჯები	263,400
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯი	5,371
საოფისე და საწარმოო ინვენტარის ხარჯი	7,068
საკანცელარიო ხარჯი	3,133
კომპიუტერის ხარჯები	-
კომუნიკაციის ხარჯები	2,563
დაზღვევა	12,296
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯი	60,352
ბუღალტრული მომსახურება და სხვა საკონსულტაციო ხარჯები	84,000
საკონსულტაციო ხარჯები	43,138
ძირითადი საშუალების ცვეთა	56,969
მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	400
ლაბორატორიული შემოწმების ხარჯი	-
ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	1,242
ქონების გადასახადი და სხვა საგადასახადო ხარჯი	100,143
საბანკო ხარჯები	17,288
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	-
მივლინების ხარჯი	-
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	-
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	101,035
საქველმოქმედო ხარჯები	4,375
სულ	1,354,605

შპს ჯავახაშვიტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

18. ფინანსური დანახარჯი

კომპანიის 2019 წლის ფინანსური დანახარჯი შედგება:

	2019
საპროცენტო ხარჯები	349,583
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11,483
სულ	361,812

19. ფინანსური შემოსავალი

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2019
საპროცენტო შემოსავლები	686,374
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5,020
სულ	691,394

20. დადებითი საკუროს სხვაობა

კომპანიის დადებითი საკუროს სხვაობა ფორმირდება შემდეგი ანგარიშებიდან:

	2019
საბანკო ანგარიშების	14,678
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	453
ვალუტაში აღრიცხული კრედიტორული დავალიანება	10,663
სულ	25,794

21. უარყოფითი საკუროს სხვაობა

კომპანიის უარყოფითი საკუროს სხვაობა ფორმირდება შემდეგი ანგარიშებიდან:

	2019
საბანკო ანგარიშების	2,720
მოკლევადიან სესხი	66,464
სულ	69,184

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	-	-
აღებული სესხი	-	(103,183)
სულ	-	(103,183)

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

23. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმონერძილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31

დეკემბერს

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	938,844	2,228,479
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	10,431,155	6,827,272
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,806,358	2,180,287
სულ მიმდინარე აქტივები		13,176,357	11,236,038
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	11,109,575	9,253,696
არამატერიალური აქტივები	8	755,411	747,842
გუდვილი		490,664	490,664
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,355,650	10,492,202
სულ აქტივები		25,532,007	21,728,240
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	9	2,526,464	1,732,516
სავაჭრო ვალდებულებები	10	1,984,223	1,295,754
გადასახდელი პროცენტი		43,948	11,542
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	11	192,091	35,076
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	251,149	765,904
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,997,875	3,840,791
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,205,581	-
სულ ვალდებულებები		6,203,456	3,840,791
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		-	-
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		19,326,551	17,885,449
სულ საკუთარი კაპიტალი		19,328,551	17,887,449
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		25,532,007	21,728,240

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 დეკემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მენეჯერი

ნოდარ ინასარიძე

ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31

დეკემბერს

(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	13	28,475,731	23,886,862
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(26,596,993)	(16,504,253)
საერთო მოგება		1,878,738	7,382,609
სხვა შემოსავალი	15	1,101,351	812,349
კომერციული დანახარჯები	16	(9,814)	(37,108)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,354,605)	(1,392,173)
სხვა ხარჯები		-	-
დადებითი საკუროს სხვაობა	20	25,794	19,396
ფინანსური შემოსავალი	19	612,511	249,648
უარყოფითი საკუროს სხვაობა	21	(69,184)	(1,806)
ფინანსური დანახარჯები	18	(282,929)	(208,676)
მოგება დაბეგრამდე		1,901,862	6,824,238
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,901,862	6,824,238
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,901,862	6,824,238

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მენეჯერი

ნოდარ ინასარიძე

ნიკოლოზ ედიბერიძე



თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31

დეკემბერს

(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება


(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	37,936,945	27,490,863
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(25,661,466)	(12,587,865)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(4,379,874)	(3,257,543)
გადახდილი გადასახადი	(2,653,404)	(3,083,736)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	(17,614)	(13,579)
გადახდილი პროცენტები	(218,672)	(102,829)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	5,005,916	8,445,312
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,417,373)	(3,648,789)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,417,373)	(3,648,789)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	(2,457,460)	(2,864,661)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	(432,675)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(2,890,135)	(2,864,661)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ რეკვივალიზაციებზე	11,958	6,669
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(1,289,635)	1,938,531
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	2,228,478	289,947
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	938,844	2,228,478

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ნოდარ ინასარიძე

მენეჯერი



ნიკოლოზ ედიშერაძე



თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჯავახავტოგზა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის


(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,000	11,061,211	-	11,063,211
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,824,238	-	6,824,238
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 1 იანვარი 2019	2,000	17,885,449	-	17,887,449
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,901,862	-	1,901,862
დივიდენდის განაწილება	-	(460,760)	-	(460,760)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	2,000	19,326,551	-	19,328,551

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მენეჯერი



ნოდარ ინასარიძე

ნიკოლოზ ელიბერიძე



თანდართული შენიშვნები მე-7 დან 23-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ჯავახაშვიტი“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

შპს „ჯავახავტოგზა“-ს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად შპს „ჯავახავტოგზა“-ს, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს (ერთად ჯგუფი).

შპს „ჯავახავტოგზა“-ს შვილობილი კომპანიებია:

- შპს „საქართველოს სამხედრო გზა“ ს/კ 229284191 რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა/შენახვა.

შპს „ჯავახავტოგზა“-ს მეკავშირე კომპანიებია:

- შპს „ავტოგზა -2000“ ს/კ 224070895 წილობრივი მონაწილეობა 33%;
- შპს „ჯავახგზამშენი“ ს/კ 223364927 წილობრივი მონაწილეობა 50%;

მეკავშირე საწარმოებს ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებია.

- ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

შპს „ჯავახავტოგზა“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1998 წლის 22 დეკემბერს, ახალქალაქის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 21/4-42, საიდენტიფიკაციო ნომერი 223352930. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ახალქალაქი, შაუმიანის ქ.1. კომპანია ახორციელებს საავტომობილო გზების მოვლა შენახვას და რეაბილიტაციას, ასფალტ-ბეტონის წარმოებას, ქვიშა-ხრემის მოპოვებასა და გადამუშავებას.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ნოდარ ინასარიძე.

ჯგუფი ოპერირებს სამცხე ჯავახეთის და დუშეთის რეგიონში და ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას წარმოადგენს გზების მშენებლობის სფეროში. იგი დაფუძნებიდან სულ რამდენიმე წლის მანძილზე დარგის ლიდერად გადაიქცა რეგიონში. სწრაფი ზრდა მაღალკონკურენტულ ბაზარზე შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, გამოცდილი კადრების არსებობით და მენეჯმენტის ეფექტურობის ხარჯზე.

კომპანიის ხელმძღვანელმა დაარსების პირველივე დღიდან განსაზღვრა მთავარი კურსი - მაღალი ხარისხი, ეფექტური მენეჯმენტი და კვალიფიციური კადრები. სწორედ ამის შედეგია განხორციელებული მასშტაბური პროექტები გზების მშენებლობაში.

მაღალი ხარისხის მომსახურების განწევა შესაძლებელია კვალიფიციური პარტნიორების მეშვეობით. კომპანიის პარტნიორები არიან დარგის ლიდერი კომპანიები საერთაშორისო მასშტაბით:

Borusan MaKina;

Hofman GMBH;

Machinenbau Rehnen GMBH;

Wirtgen International Group

და სხვა...

ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წლისთვის შეადგენდა 252 ადამიანს. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობას მზარდი ტენდენცია ახასიათებს და ყოველწლიურად იზრდება პროექტების ზრდის პროპორციულად.

კომპანია ისტორიულად აწარმოებს, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის გზების მოვლა შენახვას ასევე ახალი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში, სადაც სამუშაოდ ფასი უფრო მნიშვნელოვანია და გადამწყვეტ როლს თამაშობს ვიდრე ხარისხი და კომპანია მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ოქროს შუალედი, კონკურენტული ფასის პირობებში ხარისხის მაღალი დონე შეინარჩუნოს და წლების განმავლობაში მოპოვებული რეპუტაცია გაამართლოს. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულებული პროექტების ხარისხს და ნებისმიერი პროექტის შესრულებისას სწორედ ხარისხია მთავარი მაჩვენებელი.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

- 1) გზებისა და ავტობანების მშენებლობა,
- 2) გადაზიდვის მომსახურება,
- 3) სამშენებლო მასალების რეალიზაცია,
- 4) ქვიშა ღორღოვანი კარიერებიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვება და დამუშავება,
- 5) ასფალტბეტონის წარმოება,

კომპანიას გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

- **კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა**

კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში, ასევე ჰყავს კერძო დამკვეთები და ხარისხიანად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას გააჩნია ბევრი წარმატებით დასრულებული კონტრაქტი, ასევე მიმდინარე გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც დასრულდება 2020-2021 წლებში. კომპანია არის მომავალ გრძელვადიან მოგებაზე ორიენტირებული „ამიტომ ყოველწლიურად ზრდის საკუთარ აქტივებს, მათ შორის გრძელვადიან აქტივებს. მას ჰყავს ასევე გამოცდილი ინჟინერ-პერსონალი, აქვს ხარისხის მართვის განყოფილება, რაც მომავალში მის მიერ პროექტის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

- **ინფორმაცია ფილიალების შესახებ**

ჯგუფის ფუნქციონირების ძირითად არეალს წარმოადგენს ორი რეგიონი: სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-თიანეთის რეგიონი და არ გააჩნია იურიდიულად რეგისტრირებული ფილიალები. კომპანიას გააჩნია საწარმოო ბაზები ორივე რეგიონის მაშტაბით.

ბაზებზე განთავსებულია ჯგუფის კუთვნილი ქარხნები და მანქანა-დანადგარები, ასფალტის ქარხნები, სამტვრევი და გადამამუშავებელი დანადგარები, საამქრო, რაც კომპანიას აძლევს

სამუშაოს ოპერატიულად და ხარისხიანად განხორციელების საშუალებას.

- **ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**

ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

	მაჩვენებელი	2019	2018
	შემოსავალი	28 475 731	23 886 862
	მოგება/ზარალი	1 901 862	6 824 238
	თანამშრომელთა რაოდენობა	264	252

ჯგუფი მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიის გრძელვადიანი გეგმა სრულად ჩაანაცვლოს მოძველებული ტექნიკა ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტის მანქანა დანადგერებით. კომპანიაში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური და შესაბამისად, მუდმივად ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების ზომების მონიტორინგს.

- **მაკროეკონომიკური პირობები**

ჯგუფი ძირითადად საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

IMF-სა და საქსტატის ინფორმაციით მშპ-ს რეალურმა ზრდამ 2019 წელს შეადგინა 5.12%. სეზონის მიხედვით, აღნიშნული ზრდა სსფ-ს 4.6 პროცენტიან პროგნოზს აღემატება. 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე, მშპ-ს 4.4%-მდე. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიუხედავად დაკრედიტების ზრდის ტემპი შენარჩუნდა. შემოსავლების ზრდამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა რეკორდულ მაჩვენებლამდე (მშპ-ს 8 პროცენტამდე) ისე, რომ ფისკალური დეფიციტი არ გაზრდილა და მშპ-ს 2.1% შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით 2019 წელს საქონლის ექსპორტი 12.3%-ით გაიზარდა. ევროკავშირში ექსპორტი 12.13%-ით გაიზარდა, დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტი 20.3%-ით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შემცირდა – 1.4%-ით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 0.16%-ით გაიზარდა, რაც გაუმჯობესებულ მოხმარებაზე მეტყველებს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, შემოსავლებმა ტურიზმიდან 2019 წელს 6.7%-იან წლიურ ზრდას მიაღწია, ხოლო კერძოდ სასურსათო სექტორში, როგორც არარეზიდენტი ასევე რეზიდენტი ტურისტებისგან შემოსავალში დაფიქსირდა 4.8%-იანი ზრდა. სეზონის ინფორმაციით, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით ასევე გაუმჯობესდა უცხო ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების შემოდინების მოცულობა 10%-ით. საქსტატის მიხედვით, საქართველოში რეალური მშპ-ის ზრდა 2019 წელს შემცირდა 0.1 პუნქტით და შეადგინა 4.7%, 2018 წლის 4,8%-იან ზრდასთან შედარებით.

COVID-19 ურთულესი გამოწვევა და საფრთხეა როგორც ჯანდაცვის სისტემისთვის, ისე მსოფლიო

და საქართველოს ეკონომიკისთვის. მისი გავლენის შეფასება ამ ეტაპზე რთულია გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია. საქართველოში რეგულაციები შემსუბუქდა და ეტაპობრივად მოიხსნა მაისიდან. შიდა ტურიზმი ივნისიდან განახლდა. აღნიშნული იძლევა პოზიტიური მოლოდინების ფორმირების საშუალებას.

COVID 19-ზე საპასუხოდ საკონტროლო და პრევენციული ზომების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე მაღალია. ევროპული ბიზნეს ასოციაციის მიერ ქართულ ბიზნეს გარემოზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსალოდნელია, რომ ბიზნეს ერთეულების შემოსავლები 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდება. თუმცა მაღალია იმ კომპანიების წილი, რომლებმაც არ იციან თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მათ ბიზნესზე. ბიზნესების უმეტესობა ვერ თანხმდება ზუსტად რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი მასშტაბური სახის კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და მათ მსგავს გამოწვევებთან გამკლავების გამოცდილება არ გააჩნიათ.

სამომავლოდ, თიბისი კაპიტალის თანახმად, სავალუტო დანაკლისის გაზრდაა მოსალოდნელი. ამასთან ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება ნაკლებად სავარაუდოა, გამომდინარე იქიდან, რომ ვალუტის მიწოდება ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ განხორციელდება. დამატებით, მაისის პროგნოზთან შედარებით ინფლაციის მოლოდინები შემცირებულია 5.0%-დან 4.5%-მდე. ასევე 8.0%-დან 7.75%-მდეა შემცირებული და რეფინანსირების განაკვეთის მოლოდინები.

აღნიშნული მოლოდინები და რეგულაციები ზრდის კომპანიის დანახარჯებს რაც ნაწილობრივ გამოწვეულია კურსის მერყეობით და ნაწილობრივ მთავრობის რეკომენდაციების შესრულებით.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. კომპანიას სამუშაოების განსახორციელებლად ესაჭიროება მასალები, რომელთა ნაწილის შესყიდვაც ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისაგან, ხოლო ნაწილის შესყიდვა ხდება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ღირებულებაზე გავლენას ახდენს სავალუტო კურსი. შესაბამისად, არსებობს სავალუტო რისკი. კომპანია ძირითადად ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს, რომლის ხანგრძლივობა არის 12 თვე ან მეტი. კომპანიის ძირითადი კონტრაქტორია სახელმწიფო, შესაბამისად კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში, რომლის ღირებულებაც განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ძირითადი მასალები, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად არის ისეთი მასალები, რომლის იმპორტიც ხდება ან პირდაპირ მიიღებულია ლარის კურსზე (მაგალითად საწვავი, ბიტუმი და ა.შ), შესაბამისად კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე და ისედაც ძალიან მაღალი კონკურენციის გამო კომპანიებს ტენდერში უწევთ მონაწილეობის მიღება ძალიან დაბალ ფასად, შესაბამისად ამ ფასში შეუძლებელია სავალუტო რისკის გათვალისწინება და იმ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებსაც ბანკები გვთავაზობენ. ასეთი სავალუტო რისკები ძალიან დიდ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე.

ამასთან, კომპანიას საერთაშორისო და ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც თითქმის სრულად მიღებულია უცხოურ ვალუტებზე (ძირითადად, აშშ დოლარზე). 2017 წელს ლარი 2,1%-ით გამყარდა, ხოლო 2018 წელს 3.25%-ით გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ; 2017 წელს ევროს მიმართ ლარი 11,1%-ით გაუფასურდა, ხოლო 2018 წელს 1.1%-ით გამყარდა. ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის კომპანიის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური განვითარების შეფერხებამ და

ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია გასულ პერიოდებში საქართველოდან ექსპორტისა და საქართველოში ფულადი გადარიცხვების შემცირება. საქართველოს მეზობელ ბაზრებზე ეკონომიკური დაღმავლობა ან კრიზისი თუ გაგრძელება ან წარმოიშობა, ეს არსებით უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე. 2006 წელს რუსეთმა საქართველოზე სანქციები დააწესა და 2008 წელს ქვეყნებს შორის კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, როდესაც რუსულმა ძალებმა გადაკვეთეს საერთაშორისო საზღვარი და საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. საფრანგეთის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც რუსული სამხედრო ძალები ქვეყნიდან უნდა გასულიყო, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და ვითარება დაძაბული დარჩა. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის თებერვალში ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ინიციატივის დამტკიცებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ამ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობა. რუსეთ-უკრაინის გეოპოლიტიკური ურთიერთობა 2013 წელს დაწყებული კრიზისის მერე დაძაბული რჩება. აშშ-ის და ევროკავშირის (და სხვა ქვეყნების) სანქციები რუსეთის მიმართ გრძელდება და გაურკვეველია, როდის და როგორ გადაიჭრება კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. პოლიტიკური გარემო თურქეთში დაძაბული რჩება 2016 წლის განმავლობაში თურქეთში მომხდარი სამოქალაქო არეულობის შემდეგ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო თურქეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც რეფერენდუმის გზით დამტკიცდა. ცვლილებები პრეზიდენტს მეტ უფლებებს ანიჭებს და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თურქეთში პოლიტიკურ სტაბილურობაზე. რეგიონში შემდგომმა გეოპოლიტიკურმა უთანხმოებამაც განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოზე.

შეიძლება გარკვეული სირთულეები ახლდეს საქართველოს ნორმატიული ბაზის მისადაგებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის („DCFTA“) შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და შეიქმნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ვაჭრობის ორმხრივ ლიბერალიზაციას. როგორც მოსალოდნელია, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენოს იურიდიული თუ ფიზიკური პირები და სახელმწიფო. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ და DCFTA-მ შეიძლება საჭირო გახადოს საქართველოს მხრიდან ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ

ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების საკითხში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), იზრდება დასაქმებულების უფლებები დამსაქმებლების გადანყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, იკრძალება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე სამსახურიდან დათხოვნა და გარანტირებულია საბაზისო სამუშაო პირობები. ცვლილებებმა ასევე გაამკაცრა კონკურენციის კანონი საქართველოში, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს ჯგუფის უფლება, მოახდინოს დამატებითი შეზღუდვები თავისი ზრდის სტრატეგიის შესაბამისად. აგრეთვე აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა სანარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი, ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი, მათ შორის ცვლილებები ადრე გამოცხადებული სახელმწიფო ინიციატივების განხორციელებასა თუ მიდგომებში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვან ტვირთად დააწევს მარეგულირებელ ორგანოებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებს მოსწყვიტოს და შეაფერხოს მათი ეფექტიანობა.

საგადასახადო კანონები საქართველოში შედარებით ახალი დანერგილია, უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ეს ქმნის გარკვეულ გამოწვევებს საგადასახადო კანონების შესრულებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ასეთი საგადასახადო კანონები არ არის გასაგები ან ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას და კომპანიებს აკისრებს რისკს იმისა, რომ მათი მხრიდან კანონის შესრულების მცდელობას საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ.

ამასთან, ეს საგადასახადო კანონები ექვემდებარება შესწორებებსა და ცვლილებებს, რამაც შეიძლება დამატებითი სირთულეები შეუქმნას ბიზნესკომპანიებს. 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი („საგადასახადო კოდექსი“). 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლითაც აიკრძალა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან არსებული განაკვეთების ზედა ზღვრის გაზრდა (გარდა აქციზისა) საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული რეფერენდუმის გზით (გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

საგადასახადო კოდექსის ამა თუ იმ დებულების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თავად სამინისტროებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კონფლიქტის საფუძველს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი საქართველოს საგადასახადო ორგანოებს ავალდებულებს წინასწარი საგადასახადო დასკვნის გაცემას გადასახადის გადამხდელების მიერ მოთხოვნილ საგადასახადო საკითხებზე.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სანარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. როგორც მოსალოდნელია, ეს ცვლილება გაააქტიურებს ეკონომიკურ საქმიანობას და გაზრდის კერძო სექტორის კაპიტალიზაციას. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ეხება გარკვეულ ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს (ცვლილებები ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს 2019 წლის 1 იანვრიდან შეეხება). თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ეს ცვლილებები სასურველ შედეგს გამოიღებს.

კომპანია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას.

წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთა, კომპანიის აზრით, მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს კომპანია შეინარჩუნოს, წაახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე.

- უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით.

- საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება
- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნესის მდგრად განვითარებას.

დირექტორი:

ნოდარ ინასარიძე

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება
- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვბრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციას.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნესის მდგრად განვითარებას.

დირექტორი:

ნოდარ ინასარიძე